საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ი-95

ქ. თბილისი "01" 07 2011 წ.

შპს "გეომშენი-2004"-ის ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს "გეომშენი-2004"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ლანჩხუთის რაიონი, სოფ. ღრმაღელეში ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№10; 01.07.2011წ) გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს "გეომშენი-2004"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს "გეომშენი-2004"-ის განცხადება, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №10; 01.07.2011წ. და ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი